საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ელექტრონულ აუქციონს, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16) ნული სართულის (შესაბამისი ინვენტარით) წინასწარ განსაზღვრული ფართის სასყიდლიანი იჯარის ფორმით, სამი წლის ვადით სარგებლობის წესით გადაცემის მიზნით.

სახელმწიფო ქონების სასყიდლიანი იჯარის ფორმით სარგებლობის წესით გადასაცემი ფართის მდებარეობა და მიზნობრიობა, საწყისი საფასური, ,,ბე''-ს თანხის ოდენობა, ბიჯის სიდიდე და გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შინაარსი განისაზღვრება დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად.

ელექტრონული აუქციონი ჩატარდება: 2014 წლის 05 ივნისის 13:00 სთ - დან 13 ივნისის 13:00 სთ - მდე.

ელექტრონული აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების სასყიდლიანი იჯარის ფორმით წინანსწარ განსაზღვრული ფართის სარგებლობაში მიმღები შეიძლება იყოს ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.

ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) შესაბამის ვებგვერდზე (www.eauction.ge) დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მასზე თანხმობის გაცხადება;

გ) „ინტერნეტ ბანკინგის" საშუალებით, ასევე საბანკო დაწესებულების მეშვეობით ,,ბე''-ს თანხის გადახდა,

რეკვიზიტებზე:

,,ბე''-ს გადახდის შემთხვევაში: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში ა/ა №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222/TRESGE22, სახაზინო კოდი: 302006000

გადახდის დანიშნულება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის წინასწარ განსაზღვრული ფართის, სასყიდლიანი იჯარის ფორმით, სარგებლობის წესით, გადაცემის მიზნით მოწყობილ ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობისთვის გადახდილი „ბე"-ს თანხა.

ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე'' ეთვლება ანგარიშსწორებისას. ყველა დამარცხებულს ,,ბე'' უბრუნდება აუქციონის ჩატარებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

სახელმწიფო ქონების წინასწარ განსაზღვრული ფართის სასყიდლიანი იჯარის ფორმით სარგებლობის წესით გადაცემის მიზნით გამართული ელექტრონული აუქციონის ყველა შესაძლო მონაწილეს უფლება აქვს მიიღოს ფართის სარგებლობაში გადამცემი ორგანოს მიერ ხელთ არსებული, კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ინფორმაცია.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს წინანსწარ განსაზღვრული ფართის სასყიდლიანი იჯარის ფორმით სარგებლობაში გადასაცემ სახელმწიფო ქონებას.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო თანხის შემთავაზებელი პირი.

აუქციონში გამარჯვებულს ელექტრონული გზით ეცნობება ხელშეკრულების გაფორმების ვადების და ყველა სხვა პირობების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

ელექტრონული აუქციონი ჩატარდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების „სახელმწიფო ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 2 601 601; 2 261 424.